

საქართველოს სამხრეთ მთიანეთის გეოდინამიკური პროცესები და მოსალოდნელი გეოეკოლოგიური გართულებები

გიორგი გაფრინდაშვილი

ელ-ფოსტა: george.gapindashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის 3

ბუნებაში მიმდინარე სტიქიური პროცესების მართვა და პროგნოზირება თანამედროვე ცივილიზაციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. მეწყერების, თოვლის ზვავების, ღვარცოფების, კლდეზვავების, მდინარეთა ნაპირების გარეცხვის, წყალმოვარდნების, წყალდიდობების და სხვა ეგზოდინამიკური პროცესების კვლევამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც აშკარა გახდა, რომ ბუნებრივი კატასტროფებისაგან მოსახლეობის და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტების დაცვისათვის დაგეგმილი ღონისძიებები არასაკმარისი აღმოჩნდა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად.

სამხრეთ საქართველოს მთიანეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური სირთულით და ლანდშაფტურ-კლიმატური მრავალფეროვანი სპექტრით და ქვეყნის მდგრადი განვითარების პოტენციალის გაზრდით, უნიკალურ რეგიონს წარმოადგენს. აქვე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის ისეთი სატრანზიტო ობიექტები, როგორიც არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ-კავკასიის გაზსადენი, ასევე საქართველო-თურქეთისა და საქართველო-სომხეთის ურთიერთდამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალები, ხოლო მშენებლობის პროცესშია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სამხრეთ საქართველოს მთიანეთში სტიქიური კატასტროფული მოვლენებით დაზიანებული ტერიტორიების მდგომარეობის გამოკვლევა და შეფასება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მათი წარმოშობა-განვითარების ძირითადი კანონზომიერებების დადგენა, გამომწვევი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების გამოვლენა, სტიქიური მოვლენების განვითარების პროგნოზირება და მათი შერბილებისა და გაუვნებელყოფის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება.